საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1208-03
19/08/2022

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო საფეხურზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის" 39-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 17 აგვისტოს N11591-35, სამართლის სკოლის დეკანის 2022 წლის 17 აგვისტოს N11614-35 სამსახურებრივი ბარათის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 17 აგვისტოს N11619-35 სამსახურებრივი ბარათის, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 16 აგვისტოს N11565-35 სამსახურებრივი ბარათის, რექტორის 2022 წლის 10 აგვისტოს N1945-02 ბრძანების გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. 2022-2023 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე, რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე, ჩარიცხვის მსურველ აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრის ჩათვლით, 10:00-18:00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა, ქვემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე:

ა) მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - მის.: ჭავჭავაძის გამზ. N32, ოთახი B101;

ბ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი - მის.: გ.წერეთლის გასასვლელი N3 ოთახი S103;

გ) სამართლის სკოლა - მის.: ჭავჭავაძის გამზ. N32, ოთახი A 404;

დ) ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი - მის.: ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. N3/5, E კორპუსი, უნიფუდის ტერიტორია.

2. 2022-2023 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე სწავლის დაწყების მსურველმა აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი (1 ეგზემპლარი). უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი. უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტი;

გ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის);

დ) 1 ფოტოსურათი ზომით 3/4 და ელ.ვერსია ელექტრონულ მატარებელზე(CD).

ე) სოციალურად დაუცველის სტატუსის შემთხვევაში ცნობა გაცემული შესაბამისი ორგანოდან.

3. 18 წლამდე აბიტურიენტს თან უნდა ახლდეს კანონიერი წარმომადგენელი და თან იქონიოს წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მშობლის უფლების მქონე პირის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და აბიტურიენტის დაბადების მოწმობა, ხოლო მეურვის მიერ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები).
4. საჭიროების შემთხვევაში, COVD 19 პანდემიიდან გამომდინარე, რეგისტრაციისთვის სტუდენტები სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა გამოცხადდენ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
5. საჭიროების შემთხვევაში, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს ეთხოვოს ინგლისური ენის დონის დასადგენად ტესტის ჩატარების უზრუნველყოფა;
6. ფაკულტეტების/სკოლის დეკანებს დაევალოთ უზრუნველყონ საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება სტუდენტებისათვის;
7. 2022-2023 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე რეგისტრაციაგავლილ აბიტურიენტებთან ხელშეკრულების გაფორმების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2022 წლის 16 სექტემბერი;
8. საჭიროების შემთხვევაში, ბრძანებით განსაზღვრული ვადების მიმდინარეობისას, შესაძლოა არასამუშაო დღეები კონკრეტული თანამშრომლებისთვის გამოცხადდეს სამუშაო დღედ.
9. ფაკულტეტებს/სკოლას დაევალოთ, არაუგვიანეს 2022 წლის 19 სექტემბრისა უნივერსიტეტის რექტორს წარუდგინონ იმ აბიტურიენტთა სია, ვინც გააფორმა უნივერსიტეტთან ხელშეკრულება;
10. სარეგისტრაციო პორტალის გამართულად მუშაობაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსს, გიორგი ქობულაშვილს;
11. ამ ბრძანების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისროთ ფაკულტეტის/სკოლის დეკანებს.
12. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის.
13. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა თვალსაჩინო ადგილზე ბრძანების გამოკვრის გზით;
14. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლას, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ბიბლიოთეკას, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

გიორგი გვალია

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი